



## კურსის მიმოხილვა ე-4 კლასი

**წყარო** Reimers, F. (2017). მოსწავლეების მოტივირება, რათა მათ გააუმჯობესონ გარემო 60 გაკვეთილში, გამოცემა პირველი. Createspace Independent-ის საგამომცემლო პლათფორმა.

**ავტორი უფლება:** © 2017 Fernando M. Reimers. ამუშევრის საერთაშორისო ლიცენზია- the Creative Commons Attribution 4.0 . ლიცენზიის სანახავად ენციეთ ვებ-გვერდს: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/> ყველა უფლება დაცულია.

**შენიშვნა:** All content of this was produced and published independently of the Global Schools Program. ყველა კომპონენტი იქნა დამუშავებული და გამოცემული გლობალური სასკოლო პროგრამისგან დამოუკიდებლად.



### მიმოხილვა

#### სწავლის მიზანი:

ეს ერთეული ეხმარება მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ შეგრძნება მათს ადგილსა და როლზე ფართო სამყაროში. ის დაეხმარება მათ გაიაზრონ, როგორ უკავშირდება ერთმანეთს სხვადასხვა ელემენტები სამყაროში მათ ფასეულობებთან შეფარდებაში. ეს ერთეული შექმნილია. როგორც ხუთი გაკვეთილის კომბინაცია, თუმცა ყოველი გაკვეთილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკეულად. ყოველი გაკვეთილი ასევე შეიცავს მომდევნო გაკვეთილში გამოკვეთილი თემის შესავალს.

#### გაკვეთილის შაბლონი


გაკვეთილი 1	იდენტობის ჩამოყალიბება
გაკვეთილი 2	სწავლა გარემოს შესახებ
გაკვეთილი 3	სახელმწიფოები და რესურსები
გაკვეთილი 4	მდგრადი განვითარების მიზნები და სამოქმედო გეგმა
გაკვეთილი 5	ყველაფრის ერთად თავმოყრა

#### წავლის მიზნები

- მოსწავლეები იფიქრებენ თავიანთ იდენტობაზე და როლზე ფართო სამყაროში.
- მოსწავლეები შეძლებენ აღმოაჩინონ, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ გარემოს და შეამცირონ ნარჩენები.
- მოსწავლეები ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას ფინანსურ პროექტში და დამატებით ივარჯიშებენ თანატოლების წინაშე გამოსვლაში.



# Global Schools Program





## ე-4 კლასი, გაკვეთილი 1 “იდენტობის ჩამოყალიბება”

**ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**თემები:** ვიზუალური ხელოვნება, ლინგვისტური ხელოვნება

**სტანდარტები:** მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (მიზანი 16).

**შეიმუშავა:** Quinn Lockwood

### შეჯამება და დასაბუთება:

- მოსწავლეები დაინყებენ ხუთ გაკვეთილიან პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბებს მათ გლობალურ კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებს, დაეხმარება იდენტობის ნაირსახეობების აღმოჩენაში დაწყებული საკუთარ თავთან კითხვით “ ვინ ვარ მე?”
- სწავლება მოიცავს დისკუსიას მოსწავლის და მისი თანაკლასელების იდენტობაზე, (მინაგანი იდენტობა, როგორიცაა ინტერესი და ფასეულობები, ასევე გარეგანი იდენტობა, მათ შორის გამომეტყველება და ჩაცმულობა).
- გაკვეთილი უმჯობესია მოიცავდეს დისკუსიას მოსწავლეებთან, თუ როგორ აყალიბებს მათი ფასეულობები მათს იდენტობას.
- მოსწავლეები განიხილავენ, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და რატომ, ასევე დაინყებენ ფიქრს იმაზე, თუ რა ფასეულობები შეიძლება ჰქონდეთ მათ ოჯახს, იმ ხალხს, ვისთანაც უწევთ ურთიერთობა და ადამიანებს მსოფლიოს გარშემო.

### ასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები დაინყებენ იდენტობის კონცეფციის შესწავლას. ისენი აღმოაჩენენ, თუ როგორ იქმნება იდენტობა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით, კონცენტრირდებიან ღირებულებებზე, რომლებიც განაპირობებს იდენტობის ჩამოყალიბებას.
- მოსწავლეები ისაუბრებენ საკუთარ თავზე, თავიანთ ინტერესებსა და იმაზე, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი. ისინი ასევე გაავლებენ პარალელებს თავიანთ და თანაკლასელების ღირებულებებს შორის — იმ ღირებულებების ჩამოთვლით, რომლებიც ერთმანეთს გაუზიარეს და არ გაუზიარეს სიტყვიერად.
- მოსწავლეები ისაუბრებენ ისეთ თემებზე, როგორიცაა: რა ხდება, როდესაც ადამიანები არ იზიარებენ ერთმანეთის ღირებულებებს. ისინი იმსჯელებენ სტრატეგიებზე, თუ როგორ შეენყონ ადამიანს, რომელიც არ იზიარებს მათ ღირებულებებს.
- მოსწავლეებს უნდა უხელმძღვანელონ თავდაპირველად იმის ასახსნელად, თუ რატომ აქვს სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა ღირებულებები.

### გაცნობიერების მიზნები:

- იდენტობას აყალიბებს ბევრი ფაქტორის ერთობლიობა.
- ჩვენი ღირებულებები დიდ როლს თამაშობს ჩვენი ვინაობის დადგენაში.
- სხვადასხვა ადამიანს შესაძლოა სხვადასხვა ღირებულებები ჰქონდეს.



## მნიშვნელოვანი კითხვები:

- რას ვგულისხმობთ, როდესაც იდენტობაზე ვსაუბრობთ?
- როგორი არის სხვადასხვაგვარი პასუხი კითხვაზე “ვინ ვარ მე”?
- რა არის ის ფაქტორები, რომლებიც აყალიბებს იდენტობას?
- რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი?
- რატომ არის ეს რაღაცეები ჩვენთვის მნიშვნელოვანი?
- რა მიაჩნიათ ჩვენს კლასელებს, მეგობრებს და ნათესავებს მნიშვნელოვნად?
- ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია ეს რაღაცეები?
- როგორ გავუგოთ და შევეწყოთ ადამიანებს, რომელთაც განსხვავებული ღირებულებები აქვთ?

## სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- იგრძნონ თავი კომფორტულად მაშინ, როდესაც საუბრობენ იმაზე, თუ რა აყალიბებს მათ “მათ”.
- ისაუბრონ საკუთარი იდენტობის სხვადასხვა კომპონენტზე და ასევე იმაზე, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი.
- ეძებონ განსხვავებები და მსგავსებები საკუთარ და თანაკლასელთა ღირებულებებს შორის.
- წარადგინონ საკუთარი თავი გამოსახულებებით და სიტყვებით.
- რიგ-რიგობით წარდგინონ თანაკლასელების წინაშე, შემდეგ სხვას მოუსმინონ და ჩაერთონ დიალოგში.
- მიხვდნენ, რომ განსხვავებებით უნდა ვიამაყოთ.

**შეფასება:** “პირადი იდენტობის წიგნის” შექმნა.

## აქტივობების თანმიმდევრობა:

- **წინასიტყვაობა (5 წუთი):**
  - უთხარით მოსწავლეებს, რომ ისინი გააკეთებენ ერთ სავარჯიშოს იმის აღმოსაჩენად, რითი გვანან და განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან.
  - მასწავლებელს შეუძლია დახატოს წრე საკლასო ოთახის შუაში. ის უნდა იყოს იმ ზომის, რომ ყველა მოსწავლე ერთდროულად დაეტიოს მასში. ამ აქტივობას შესაძლოა დასჭირდეს ცოტაოდენი მომზადება (მაგიდების გადაადგილება და ა.შ.)
  - როდესაც მოსწავლე გარკვეულ კითხვას უპასუხებს “დიახ”-ით, შემოუშვით ის წრეში. მაგალითად: “შემოდით წრეში, თუ თქვენ გიკეთიათ სათვალე/გაქვთ ყავისფერი თმა/გყავთ და/ყოფილხართ სხვა ქვეყანაში/საუბრობთ სხვა ენაზე/გიყვართ ბოსტნეულობის ჭამა” და ა.შ.



- დაასრულეთ ა ქტივობა კითხვით: “შემოდით წრეში, თუ ხართ [მასწავლებლის სახელი] კლასში [სკოლის სახელი]!”, რათა საბოლოოდ ყველა ბავშვი აღმოჩნდეს ერთად წრეში.
- **უპასუხეთ კითხვას “ვინ ვარ მე?” (10 წუთი):**
  - მოსწავლეები იფიქრებენ კითხვაზე, “ვინ ვარ მე?” დაეყრდნობიან შაბლონს: “მე ვარ ვილაც, ვინც...”
  - ამ ნაწილს მათ შეუძლიათ უპასუხონ ზედაპირული თვისებებით, როგორებიცაა ჰობი, მოწონებები, სპორტული ინტერესი, მაგალითად: “მე ვარ ვილაც, ვისაც უყვარს ნაყინი” ან “მე ვარ ვილაც. ვისაც შეუძლია სწრაფად სირბილი.” ეს შეიძლება დაიწეროს ერთობლივად საკლასო დაფაზე ან ინდივიდუალურად ფურცელზე.
  - მასწავლებელს შეუძლია გაავლოს პარალელები მსგავს და განსხვავებულ პასუხებს შორის, მაგალითად ზოგმა ბავშვმა თქვა, რომ მათ მოსწონთ... და ა.შ.
  - მასწავლებელს შეუძლია უბიძგოს მოსწავლეებს იფიქრონ იმაზე, თუ სხვა ქვეყანაში მოსწავლე როგორ უპასუხებდა ამ კითხვებს.
- **წარადგინეთ ფასეულობების კონცეფცია (5 წუთი):**
  - მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს იფიქრონ თავიანთ იდენტობაზე მათს ინტერესებსა და მათთვის მნიშვნელოვანზე დაყრდნობით .
  - როგორც კლასს, მათ შეუძლიათ მიამატონ თავიანთ სიას გარკვეული წინადადებები, რომლებიც მათთვის აღმოჩნდება მნიშვნელოვანი.
  - მოსწავლეებს შესაძლოა დასჭირდეთ გარკვეული მაგალითები, სანამ თავისით შეძლებენ ამას, მაგალითად: “მე ვარ ვილაც, ვისთვისაც ოჯახი მნიშვნელოვანია” ან “მე ვარ ვილაც, ვისთვისაც მნიშვნელოვანია იყოს კეთილი სხვების მიმართ.”
- **წარადგინეთ პროექტი (2-3 წუთი):**
  - ასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ მათ უნდა შექმნან “პირადი იდენტობის წიგნი” .
  - მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს საკუთარ იდენტობის წიგნს, რომელშიც პასუხი ექნება გაცემული შესაფერის კითხვებს სიტყვიერად, ნახატით ან ორივეთი ერთდროულად.
  - მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა დაურიგოს ცარიელი წიგნები და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები, რომლებიც მათ გამოადგება.
- **მოსწავლეები იწყებენ საკუთარ პროექტს (25 წუთი):**
  - მოსწავლეები იყენებენ დარჩენილ საკლასო დროს პროექტის დასასრულებლად.
  - იდეალურ შემთხვევაში, მოსწავლეები დაასრულებენ იმდენ ხანში, რომ მოასწრონ ერთმანეთისთვის თავიანთი იდენტობის წიგნის ჩვენებას.
  - შესაძლოა მოეწყოს ამ წიგნების საკლასო გამოფენა.



## მასწავლებლის რესურსები:

- სასწავლო არე 1: ვინ ვარ მე?:  
<https://www.equalityhumanrights.com/en/primary-education-resources/lesson-activity-ideas/learning-area-1-who-am-i>
- ინდივიდუალური და საზოგადო იდენტობის გაკვეთილის გეგმა:  
<https://www.equalityhumanrights.com/en/secondary-education-resources/lesson-plan-ideas/lesson-3-identity-and-characteristics>



## მე-4 კლასი, გაკვეთილი 2 “სწავლა გარემოს შესახებ”

**ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**თემა:** მეცნიერება

**მიზნები:** სუფთა წყალი და სანიატრია (მიზანი 6); სუფთა და ხელმისაწვდომი ენერჯია (მიზანი 7); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მდგრადი ქალაქები და საზოგადოებები (მიზანი 11); მდგრადი წარმოება და მოხმარება (მიზანი 12); კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედებები (მიზანი 13); სიცოცხლე წყლის ქვეშ (მიზანი 14); სიცოცხლე ხმელეთზე (მიზანი 15)

**შეიმუშავა:** Sharon Jiae Lee

### შეჯამება და დასაბუთება:

- პირველ გაკვეთილზე მოსწავლეებმა ისწავლეს ფასეულობების შესახებ და გაუზიარეს ერთმანეთს საკუთარი იდენტობის მახასიათებლები. ამ გაკვეთილზე მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას საკუთარი ფასეულობების საზოგადოების ფასეულობებთან მისადაგებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე.
- მოსწავლეები შეისწავლიან სამ მნიშვნელოვან მცნებას (**შეამცირე, ხელახლა გამოიყენე, გადაამუშავე**) და იფიქრებენ, თუ როგორ შეიძლება ნარჩენები გამოიყენებოდეს საზოგადოებისთვის ახალი ნივთების დასამზადებლად.
- მასწავლებელი მოიტანს რაიმე სახის ნარჩენს (მაგ. ქალაღდი, ქილა, ბოთლი, პლასტმასის პარკი და სხვა.) რა გამოადგება საზოგადოებას? ამ გეგმაში მოყვანილია ბოთლის მაგალითი, თუმცა შეცვლა შესაძლებელია.

### სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- დაფიქრდნენ და ისწავლონ, როგორ იქმნება მდგრადი საზოგადოება.
- მიაღწიონ ფართო მიზანს:
  - ფიქრი: ნარჩენი შესაძლოა სასარგებლო ნივთად იქცეს.
  - შეგრძნება: ისწავლონ სამი მნიშვნელოვანი მცნება.
  - მოქმედება: გამოიყენონ ცოდნა, რომ ინოვაციური გზებით გარდაქმნან ნარჩენი საზოგადოებისთვის სასარგებლო რესურსად.

### გაცნობიერების მიზნები:

- ნარჩენები დამაზიანებელია ჩვენი საზოგადოებისა და მსოფლიოს გარემოსთვის.
- ნარჩენი არ არის მხოლოდ ნარჩენი, არამედ ინოვაციური ხერხებით მან შესაძლოა ახალი სიცოცხლე შეიძინოს.
- კრეატიული აზროვნება მნიშვნელოვანია, ის მოიტანს პოზიტიურ ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიოში.





### მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა არის სამი მნიშვნელოვანი მცნება? (შემაცირე, ხელახლა გამოიყენე, გადაამუშავე)
- როგორი სახის ნარჩენებს ვხედავთ ჩვენს გარშემო?
- როგორ გადავაცქიოთ ნარჩენი ჩვენს გარშემო სასარგებლო რესურსად?

**შეფასება:** მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს მოსწავლე ქვემოთ მოყვანილი ცხრილით.

მიზანი	გარემოებები	დაკვირვების უნარი/ქცევა	შეფასება
სამი მთავარი მცნების განსაზღვრა და ახსნა (შემაცირე, გადაამუშავე, ხელახლა გამოიყენე)	დაყავით მოსწავლეები პატარა ჯგუფებად.  მასწავლებელი დაივლის ჯგუფებს და დარწმუნდება, რომ ყველამ გაიგო სამი მცნების კონცეფცია.	მოსწავლეები განიხილავენ პატარა ჯგუფებში.	შეუძლია მოსწავლეს ახსნას სამი მნიშვნელოვანი მცნება?  შეუძლიათ ერთმანეთისთვის მაგალითების მოყვანა?
პრეზენტაციის გაკეთება მათ გარშემო არსებულ ნარჩენებზე.	ინდივიდუალურად ან გუნდურად წარდგენა კლასის წინაშე.	ლასში მოსწავლეების როდენობის მიხედვით:  1. დაყავით კლასი ჯგუფებად. ჯგუფებმა წარადგინონ თავიანთ საზოგადოებაში არსებული ნარჩენების სია, თითო გუნდს ჰყავდეს თითო წარმდგენი.  2. თითო მოსწავლემ წარადგინოს თითო ნარჩენი თავის თემში.	მონაწილეობს მოსწავლე დისკუსიაში?  მუშაობენ მოსწავლეები გუნდურად, რომ შექმნან ნარჩენების სია?  არის თუ არა მოსწავლე, რომელიც წარადგენს, კარგი წარმდგენი?



<p>მოინახოს რაიმე კრეატიული გზა, რათა გადაკეთდეს ნარჩენი რაიმე მნიშვნელოვან ნივთად.</p>	<p>გუნდში ან ინდივიდუალურად</p>	<p>გუნდურად ან ინდივიდუალურად მოსწავლეები გარდაქმნიან ნარჩენებს რაიმე სასარგებლო რესურსად.</p>	<p><input type="checkbox"/> აქვს მოსწავლეს საბოლოო პროდუქტი, რომელიც ნარჩენიდან რაიმე სასარგებლოდ გარდაქმნა?</p>
---	---------------------------------	--	--

### აქტივობების თანმიმდევრობა:

#### • შესავალი (6 წუთი):

- **გავიხსენოთ გაკვეთილი 1:** სთხოვეთ მოსწავლეებს გაიხსენონ 1-ლი გაკვეთილი. ცოტა ისაუბრონ თავიანთ ინდივიდუალურ ფასეულობებზე.
- **კითხვები:** ვის ახსოვს, რა არის ფასეულობები? ვის შეუძლია გაგვიზიაროს საკუთარი ფასეულობები? შეგვიძლია მაინც ვიმეგობროთ, თუ ჩვენი ფასეულობები განსხვავდება?
  - წარუდგინეთ მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი ისწავლიან თავიანთი თემის/საზოგადოების ფასეულობებს.
- **კითხვები:** ვინ მეტყვის, რა არის მნიშვნელოვანი მისი ოჯახისთვის? რა არის მნიშვნელოვანი ფასეულობა თქვენს საზოგადოებაში (თემში)?
  - მას შემდეგ, რაც გაიგებთ პასუხებს, დაიყვანეთ საზოგადოების ფასეულობები გარემოს დაცვის ფასეულობებამდე.
- **კითხვები:** თქვენი აზრით, რას ფიქრობს ჩვენი საზოგადოება გარემოს დაცვაზე? უნებაზე? ცემთ თუ არა პატივს ბუნებას? რატომ?

#### • სამი მნიშვნელოვანი მცნება (14 წუთი):

- გააცანით მოსწავლეებს ნარჩენების მცნება (ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაგდებთ):
  - აჩვენეთ ნარჩენების ზეგავლენა ფოტოებით: ნარჩენების გადაგდება ხელს უწყობს გამონაბოლქვს, წყლის დაბინძურებას, ნიადაგის დაბინძურებას.
  - გაამახვილეთ ყურადღება, რომ უბრალოდ ნარჩენის გადაგდებაც კი აზიანებს საზოგადოებას.



# Global Schools Program

- დაყავით კლასი ჯგუფებად; მათ უნდა ისაუბრონ რა სახის ნარჩენებს ხედავენ თავიანთ თემში ან განიხილონ ინდივიდუალურად (დამოკიდებულია კლასის ზომაზე)
- ოსწავლეებმა წარადგინონ იმ ნარჩენების სია, რომლებსაც ხედავენ თავიანთ ახლობლად, გარშემო და საზოგადოებაში.
- **კითხვები:** რა არის ნარჩენი? რა სახის ზეგავლენა აქვს ნარჩენს? რა უნდა ვქნათ? ყველას შეუძლია ნარჩენების შემცირებაში შეიტანოს წვლილი.
- წარადგინეთ სამი მნიშვნელოვანი მცნების კონცეფცია:
  - დაყავით კლასი სამ ჯგუფად. ანმარტეთ თითოეული კონცეფტი და დაავალეთ ბავშვებს მოიფიქრონ, როგორ შეიძლება თითოეული კონცეფციის გამოყენება.
  - **შეამცირე:** ეს არის ყველაზე კარგი გზა გარემოს დასახმარებლად. ოსწავლეებმა მცირე ჯგუფებში იფიქრონ, როგორ შეიძლება შეამცირონ ყოველდღიური ნივთები. მაგ: არ იყიდონ და ითხოვონ და ა.შ.
  - **ხელახლა გამოიყენე:** ნივთის გადაგდების ნაცვლად მას გამოყენება შეიძლება მოუწინაოთ. მაგ: (წყლის ყიდვის ნაცვლად ვატაროთ მრავალჯერადი ბოთლი).
  - **გადამუშავე:** უმეტესობა, რისი ხელახლა გამოყენებაც აღარ შეიძლება, შეიძლება გადამუშავდეს. მაგ: (დავახარისხოთ ნარჩენები და ისე გადავყაროთ).
  - **კითხვები:** რა შეიძლება ვიღონოთ ჩვენს გარშემო არსებულ ნარჩენებზე? რომელია სამი მნიშვნელოვანი მცნება? რას ნიშნავს შემცირება? რას ნიშნავს ხელახლა გამოყენება? რას ნიშნავს გადამუშავება?
- **აქტივობა (15 წუთი):**
  - გუნდურად (ან ინდივიდუალურად) დაურიგეთ მოსწავლეებს ბოთლები და სთხოვეთ მათ ის რაიმე კრეატიულ და სასარგებლო ნივთად აქციონ.
  - ოამარაგეთ მოსწავლეები სახაზავით, მაკრატლებით, ფერადი ფურცლებითა და სხვა საკანცელარიო ნივთებით.
  - ელი შეუწყვეთ მოსწავლეების თანამშრომლობას, რომ პატივისცემით უსმინონ განსხვავებულ იდეებს და მოიფიქრონ პრობლემის გადაჭრის კრეატიული გზა.
  - 10 წუთის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა ან ბავშვმა წარადგინოს თავისი ნამუშევარი 5 წუთის განმავლობაში.



- **კითხვები:** როგორ გადავაქციოთ ნარჩენები სასარგებლო ნივთად?
- **შეჯამება (5 წუთი):**
  - გამახვილეთ ყურადღება გარემოს დაცვაზე. შეახსენეთ მოსწავლეებს სამი მნიშვნელოვანი მცნება და ასევე ის, რომ ყოველ ჩვენგანს შეუძლია გარემოს დაცვაში შეიტანოს წვლილი.
  - **კითხვები:** რა ვისწავლეთ ნარჩენებზე დღეს? როგორ დაეხმარება სამი მცნება გარემოს? რა შეგვიძლია ბუნებისთვის გავაკეთოთ?

#### რესურსები მოსწავლეებისთვის:

- ნარჩენების მართვა: <https://kids.niehs.nih.gov/topics/reduce/index.htm>
- არემოს ჯანმრთელობის მეცნიერებების ეროვნული ინსტიტუტი ბავშვებისთვის: <http://tiny.cc/G4L2R2>
- ვიდეო კლიბი სამ მცნებაზე: <http://tiny.cc/G4L2R3>

#### რესურსები მასწავლებლებისთვის:

- ნარჩენების განმარტება: <http://ves.btps.ca/documents/general/waste-and-our-world-1473648793.pdf>
- ნარჩენის ზეგავლენა გარემოზე: <https://nipukf.weebly.com/waste-and-our-world.html>
- ნაგავი გადავაქციოთ განძად: <http://tiny.cc/G4L2R6>
- განრიგი და აქტივობები მასწავლებლისთვის და მოსწავლისთვის: <http://tiny.cc/G4L2R7>
- სამი მცნება: <http://tiny.cc/G4L2R8>
- (ვიდეო) კრეატიული გზები ბოთლების გადასამუშავებლად: <http://tiny.cc/G4L2R9>



## ე-4 კლასი, გაკვეთილი 3 “სახელმწიფოები და რესურსები”

**ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**თემა:** საჯარო სწავლება

**სტანდარტები:** სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შიმშილი (მიზანი 2); სუფთა წყალი და სანიტარია (მიზანი 6); ხელმისაწვდომი და განახლებადი ენერჯია (მიზანი 7); ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (მიზანი 8); მრეწველობა, ინოვაცია, და ინფრასტრუქტურა (მიზანი 9); მდგრადი წარმოება და მოხმარება (მიზანი 12); პარტნიორობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17)

**შეიმუშავა:** Holing Yip

### შეჯამება და დასაბუთება:

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა ისწავლეს მათ გარშემო ფიზიკური ნივთების, როგორც ნარჩენებისა და რესურსების შესახებ, ისინი ისწავლიან, თუ როგორ აკავშირებს რესურსების გაცვლა (ზოგჯერ ნარჩენების გაცვლაც) ქვეყნებს და რეგიონებს ერთმანეთთან.
- მის გამოძიებით, თუ საიდან მოდის მათი ყოველდღიური რესურსი, მოსწავლეები გააცნობიერებენ რაოდენ დაკავშირებული და დამოკიდებულია ერთმანეთზე სხვადასხვა სახელმწიფო.
- სოფლიოს შესახებ შემდეგი გაკვეთილისთვის მომზადებისთვის მოსწავლეებს შეექმნებათ წარმოდგენა, თუ რა გავლენა აქვს ამ ურთიერთდამოკიდებულებას გლობალურ დინამიკაზე.

### სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ იმსჯელონ, თუ რატომ არის ესა თუ ის ნივთი დამზადებული მათს სახელმწიფოში და რატომ არის ზოგი რესურსი იმპორტირებული სხვა ქვეყნიდან.
- მოსწავლეები ჩანერენ თავიანთ აზრებს “გონებრივი რუკის” (mind map)- ის საშუალებით.
- მოსწავლეები განიხილავენ ასეთი რეგიონალური ურთიერთდამოკიდებულების დადებით და უარყოფით მხარეებს.

### გაცნობიერების მიზნები:

- ზოგი ნივთი და რესურსი, რომელსაც ყოველდღიურად გამოვიყენებთ, დამზადებულია ჩვენს ქვეყანაში, ხოლო ზოგი - იმპორტირებულია სხვა ადგილიდან.
- რეგიონები ერთმანეთთან არის დაკავშირებული რესურსების მიმოცვლით.

### მნიშვნელოვანი კითხვები:

- სად არის ნივთი დამზადებული?
- რაოდენ შორს არის მისი წარმოშობის ადგილი?
- რა პირობები და რესურსებია საჭირო ამ ნივთის დასამზადებლად?
- შეგვიძლია ადგილზე მისი წარმოება?
- შეგვიძლია სადმე სხვაგან მისი წარმოება?



- როგორ ვირჩევთ სად ვანარმოოთ ის?
- რა ხდება, როცა შენ ეს ნივთი გესაჭიროება, მაგრამ ადგილზე შეუძლებელია მისი წარმოება?
- რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ ნივთის ადგილზე წარმოებას და იმპორტირებას?
- ფიქრობ, რომ ერთი მეორეს ჯობს? რატომ?

## სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- ოდნა ერთი ცნობილი რესურსისა, რომელიც ადგილზე იწარმოება, და ერთისა, რომელიც შემოდის უცხოეთიდან.
- სულ მცირე ერთი რესურსის წარმოების სპეციფიურობის სწავლა.
- ულ მცირე ერთი სახელმწიფოს დასახელება მაინც, რომელთანაც მათი ქვეყანა ან რეგიონი ვაჭრობს.

## შეფასება:

- გონების რუკა (mind map)
- ისკუსიაში მონაწილეობა და ჩართულობა ფიქრის პროცესში.

## აქტივობების თანმიმდევრობა:

- **შესავალი (5 წუთი):**
  - მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთის ფოტოსურათს, რის შემდეგაც იკითხავს, თუ სად იწარმოება ისინი.
  - ალტერნატიულად, თუ არის დროის შესაძლებლობა, ერთი მოსწავლე ეცდება ამოიკითხოს პროდუქციის ეტიკეტიდან დამზადების ადგილი, ხოლო მეორე ეცდება გამოიცნოს ის.
- **დასაწყისი (10 წუთი):**
  - მასწავლებელი წარადგენს ერთ-ერთ იმპორტირებულ რესურსს და აჩვენებს გონების რუკის გამოყენების წესებს; მასწავლებელი გაუძღვება კლასის დისკუსიას იმაზე, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ პროდუქტის წარმოებას ადგილობრივად და სხვა ქვეყანაში.
  - მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს იფიქრონ იმ ფაქტორებზე, რომლებიც არსებობს მათ რეგიონში/ქვეყანაში და ნივთის წარმოების ქვეყანაში.
- **მოსწავლეების გონებრივი რუკები (10 წუთი):**
  - მასწავლებელი აირჩევს კიდევ სხვა რესურსს, ხოლო მოსწავლეები პატარა ჯგუფებში ეცდებიან ქალაქის პოსტერებზე შექმნან მსგავსი გონების რუკები.
- **პრეზენტაცია (15 წუთი):**



- კლასის თავში გამოეფინება მოსწავლეების გონების რუკები.
- მოსწავლეები დაიყოფიან ორ ჯგუფად, ერთი იმსჯელებს, თუ რატომ არის კარგი ამ ნივთის ადგილზე წარმოება, ხოლო მეორე - რატომაა მისი იმპორტირება უკეთესი.
- მოსწავლეებს შეუძლიათ აიღონ თავიანთი არგუმენტები მეორე გუნდის მიერ მომზადებული პოსტერიდან.

- **შეჯამება (5 წუთი):** შეჯამებისას მასწავლებელი ახსენებს, რომ რეგიონები არის განუყოფლად ურთიერთდაკავშირებული. მოსწავლეები განიხილავენ რეგიონებს შორის დამოუკიდებლობის დადებით და უარყოფით ასპექტებს.

**რესურსები მოსწავლეებისთვის:** მსოფლიო რუკა ან რეგიონების რუკა, რათა მოსწავლეებმა კარგად გაანალიზონ, თუ საიდან მოდის ეს პროდუქტი.

**მასწავლებლის რესურსები:** მასწავლებელს შეუძლია ამოირჩიოს ერთი ადგილობრივი და ერთი უცხოეთში წარმოებული პროდუქტი/რესურსი შემდეგი სიიდან:

- წყალი
- ხილი
- ომელიმე ბოსტნეული
- საკვები ზეთი
- სანავი
- რომელიმე სასმელი
- დამუშავებული საკვები
- ტანსაცმელი
- სამშენებლო მასალა
- კალამი
- წიგნი
- ელექტრონული მონყობილობა



## ე-4 კლასი, გაკვეთილი 4

“მდგრადი განვითარების მიზნები და სამოქმედო ნაბიჯები”

**ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**თემა:** მათემატიკა

**მიზნები:** სილარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შიშული (მიზანი 2); ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (მიზანი 3); ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); გენდერული თანასწორობა (მიზანი 5)

**შეიმუშავა:** Eva Flavia Martinez Orbegozo

**შეჯამება და დასაბუთება:** მოსწავლეები შეისწავლიან თავიანთ, როგორც მსოფლიოს მოქალაქეების, როგორც მსოფლიო სტატისტიკაში გარკვევით და თავიანთ, როგორც პოტენციურად ცვლილების მომტანი პიროვნებების, როლის ანალიზით.

**სასწავლო მიზნები:** მოსწავლეები დაეუფლებიან ცოდნას მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემების შესახებ. ისინი გამოიყენებენ მათემატიკას, როგორც საშუალებას, რომლითაც განიხილავენ ისეთ თემებს, როგორებიცაა მსოფლიოს მოსახლეობა, რელიგიის განაწილება და განათლების მიღწევები. მათ ასევე დაევალებათ საკუთარ თავში ჩახედვა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა და დისკუსია.

**აცნობიერების მიზნები:** მოსწავლეები ისწავლიან, რომ მათემატიკა არის ხელსაწყო მსოფლიოს შესასწავლად, რათა შევადაროთ სხვადასხვა მონაცემები და ავამაღლოთ ცნობიერება სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემაზე. ისინი გაიგებენ, რომ ცოდნა მნიშვნელოვან მსოფლიო თემებზე არის უმნიშვნელოვანესი, რათა შეისწავლონ თავიანთი კავშირი მსოფლიოსთან და საბოლოოდ ქმედითი ნაბიჯები გადადგან მის გასაუმჯობესებლად.

### მნიშვნელოვანი კითხვები:

- რატომ არის პროცენტები მნიშვნელოვანი მსოფლიოს აღწერისთვის?
- როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ცხრილები გარკვეული თემების აღსაწერად?
- არის თუ არა მონაცემები მნიშვნელოვანი სამყაროს შესახებ ფაქტების გასაცნობად?
- როგორ გრძნობებს გიჩენს ისინი?
- რა არის შენი აზრები მსოფლიოს ამ ვრცელ სურათთან დაკავშირებით?
- ცვლის თუ არა ეს აქტივობა შენს ხედვას მსოფლიოს შესახებ და რა შეგიძლია გააკეთო მის შესაცვლელად?
- ფიქრობ, რომ სტატისტიკა დაგეხმარება დააჯერო ადამიანები, რომ დროა შეეჭიდონ სხვადასხვა პრობლემას?

**სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):**





- როცენტების გამოყენება სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად გუნდებში.
  - ისინი ინდივიდუალურად დაწერენ მინიმუმ ერთ წინადადებას პროცენტის გამოყენებით, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს მათთვის საინტერესო, საკვირველ ან შოკის მომგვრელ მსოფლიო პრობლემაზე და ახსნიან, თუ რატომ არის ეს ასე.
- პროცენტების და ცხრილების გამოყენება სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემის აღსაწერად, როგორებიცაა მსოფლიოს მოსახლეობა, რელიგიის განაწილება, სწავლის მიღწევები, და პრეზენტაციის შექმნა მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მიზანთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მონაცემებზე.
- აფიქრდნენ სტატისტიკის ძალაზე ხელი შეუწყოს კომუნიკაციას მნიშვნელოვან და სავალალო თემებზე და მოუწოდოს ინდივიდს მოქმედებისკენ.
  - მათ უნდა წარადგინონ ეს მოსაზრებები პრეზენტაციის შეჯამებაში.

**შეფასება:** ინდივიდუალური მისანიშნებელი კითხვები და ჯგუფური პრეზენტაცია.

## აქტივობების მიმდევრობა:

- შესავალი:
  - ნახეთ ვიდეო “მსოფლიო რომ 100 ადამიანი იყოს...” (If the World was 100 People...) ხელმისაწვდომი არის აქ: <http://www.100people.org>
    - თუ ვერ აჩვენებთ ვიდეოს, შესაძლებელია ინფოგრაფიკის მომზადება ინფორმაციის გამოყენებით შემდეგი საიტიდან: [http://100people.org/statistics\\_100stats.php?section=statistics](http://100people.org/statistics_100stats.php?section=statistics)
  - დიალოგის წამოწყება: მასწავლებელი ეტყვის მოსწავლეებს განიხილონ...
    - რომელი რიცხვები იქცევა ყურადღებას?
    - რომელ თემებს ეხება ისინი?
  - მოსწავლეები განიხილავენ ამას წყვილებში, შემდგომ კი ინდივიდუალურად წერენ თავიანთ აზრებს:
    - ქალაქის ფურცელზე მოსწავლეები დაწერენ ერთ რიცხვს, რომელმაც მიიქცია მათი ყურადღება, შემდგომ რა თემას ეხება ის და რატომ არის ეს მათთვის საინტერესო, მაგარი, შოკისმომგვრელი თუ სხვ.
    - მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ ერთზე მეტი წინადადება, თუ აქვთ დრო, მაგრამ მთავარია გამოხატონ გრძნობები, რომლებსაც მათში ეს რიცხვები იწვევს.



- წინადადების სტრუქტურა უმჯობესია იყოს:
  - “100 ადამიანიდან, \_\_\_\_\_ ადამიანი არის \_\_\_\_\_.”
  - “ ჩემთვის \_\_\_\_\_ არის საინტერესო იმიტომ, რომ \_\_\_\_\_.”
- საბოლოოდ, მასწავლებელი პროცენტებისრამდენიმე მაგალითს დაწერს დაფაზე.
- **პროცენტები (ფიქრი):**
  - მასწავლებელი მოსწავლეების მიერ მოყვანილ რიცხვებს გარდაქმნის მათ პროცენტებად დაფაზე. ეს იქნება ერთ-ერთი გზა მოსწავლეებისთვის გამორჩეული ინფორმაციის წარმოჩენისა და მასზე სასაუბროდ.
  - **მაგალითი:** 1 კვდება შიმშილით, 15 უჭმელია, 21 ჭარბწონიანი → 1% კვდება შიმშილით, 15% უჭმელია და 21% ჭარბწონიანი.
  - წყვილებში მუშაობით მოსწავლეები ერთმანეთს გაუცვლიან საკუთარ წინადადებებს და იდეებს, თუ როგორ გარდაექმნათ რიცხვები პროცენტები. ასევე წყვილები ისაუბრებენ საკუთარ ფიქრებზე და დაწერენ მათ ინდივიდუალურად ფურცელზე.
- **ცხრილები (ფიქრი):** მოყვანილი რიცხვების მიხედვით მოსწავლეები წყვილებში იმსჯელებენ გარკვეულ თემაზე, მასწავლებელი აუხსნის, როგორ გამოსახონ ეს მონაცემები პროცენტების სახით ცხრილში.
- **პრეზენტაციები (მოქმედება):**
  - მოსწავლეებიჯგუფებში მუშაობენ მონაცემებზე, რომლებიც ეხება მათთვის საინტერესო თემას (ეს შეიძლება იყოს გამარტივებული თუნდაც მხოლოდ ორი პროცენტული მონაცემით; მაგალითად 83 შეეძლება წერა-კითხვა, ხოლო 17 - ვერა). მათ უნდა შექმნან დაფა, რომელიც მოიცავს:
    - პროცენტებს
    - გამოსახულებას ცხრილში (მასწავლებელმა შეიძლება დაურიგოს მოსწავლეებს ფურცელი უკვე გამზადებული ცხრილებით; ან მოსწავლეები ჩახატავენ მას თავისით)
    - რამდენიმე არგუმენტს, თუ რა არის პრობლემა და როგორ არის მისი გადაჭრა შესაძლებელი.
  - მოსწავლეების ნაწილი წარადგენს თავის ნამუშევრებს და გაუზიარებს თავის მოსაზრებებს თანაკლასებელს. თუმცა ყველა ჩააბარებს მასწავლებელს ნამუშევრებს გაკვეთილის ბოლოს.



# Global Schools Program

ესურსი მასწავლებლისთვის:

- “მსოფლიო რომ 100 ადამიანი იყოს...” (If the World was 100 People...) :  
<http://www.100people.org>



## ე-4 კლასი, გაკვეთილი 5 “ ველაფრის ერთად თავმოყრა”

**ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**თემები:** თეატრი, ენა

**სტანდარტები:** მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (მზანი 16)

**შეიმუშავა:** Madhuri Dhariwal

**შეჯამება და დასაბუთება:** მოსწავლეები გამოიყენებენ წინა ოთხ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას და შექმნიან ხელოვნების ნიმუშს, რომელიც ამ გაკვეთილებს ერთად შეკრავს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს დაუკავშირონ ერთმანეთს ცოდნა სხვადასხვა დარგიდან.

**სასწავლო მიზნები:** მოსწავლეები შეძლებენ...

- საკუთარი იდენტობის დაკავშირება მათ გარშემო ფართო სამყაროსთან და საკუთარი როლის დანახვა მდგრადი ზრდის ხელშეწყობაში.
- სამყაროს პრობლემების გააზრება მათი ცნობადობით მდგრადი განვითარების მიზნებზე.
- გამოხატონ აზრები პირადად დაწერილ ტეატრალურ დადგმაში, მამასადამე ისწავლონ თეატრის მეშვეობით გრძნობების გამოხატვა.

**გაცნობიერების მიზნები:**

- როგორ გამოვიყენოთ თეატრი გრძნობების გამოსახატად.
- როგორ არის საკუთარი თავი, თემი და საზოგადოება ურთიერთდაკავშირებული.
- ინდივიდის როლი მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში.
- სად ვართ ჩვენ სამყაროსთან მიმართებაში (გეოგრაფიულად, ისტორიულად, და სხვა...)

**მნიშვნელოვანი კითხვები:**

- გამოხატვის რომელი საშუალებები არსებობს? (წერა, ლაპარაკი, პერფორმანსი, ხელოვნების სხვადასხვა დარგი)
- გეხმარებათ თქვენი ფასეულობები სამყაროს უკეთესად შეცნობაში?
- არის სამყაროს რესურსები მხოლოდ ჩვენი?
- უნდა ვიდარდოთ მსოფლიოს პრობლემებზე?

**სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):**

მიზნები	გარემოებები	დაკვირვების უნარი/ყოფაქცევა	შეფასება
გაიგონ რომ,	გაკვეთილი 3-4	წარმოაჩინონ	შეუძლიათ



არსებობს ფართო სამყარო მათი წრის მიღმა		საკუთარ სცენარში/დადგმაში	მოსწავლეებს მსოფლიო რესურსების იდენტიფიცირება?
გაიგონ, როგორ აყალიბებს მათი ფასეულობები მათ სამყაროს	გაკვეთილი 1-4	წარმოაჩინონ საკუთარ სცენარში/დადგმაში	შეუძლიათ მოსწავლეებს ისაუბრონ ფასეულობებზე მსოფლიო პრობლემების ქრილში?
გარდაქმნან საკუთარი იდეები თეატრალურ დადგმად	პატარა ჯგუფებში	სცენარის დაწერა	ასახავს დადგმა 1-4 გაკვეთილების მცნებებს?
იმუშაონ გუნდურად	პატარა ჯგუფებში	დეებზე მსჯელობა სცენარის დაწერამდე	ეხმარებიან მოსწავლეები ერთმანეთს?

### შეფასება:

- ეფასების რამდენიმე საშუალება იმის მისახვედრად, მიაღწია თუ არა მოსწავლემ თავიდან დათქმულ მიზნებს:
  - მოსწავლის მიერ დაწერილი თეატრალური დადგმა (ნახეთ განყოფილება “რესურსები მასწავლებლებისთვის”)
  - დადგმაზე ფიქრის პროცესიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ინდიკატორი იმისა, მიაღწიეს თუ არა დათქმულ მიზნებს მოსწავლეებმა.
  - მოკლე კითხვარი მოსწავლეების როლზე მდგრად განვითარებაში (ნახეთ მაგალითი მასწავლებლის რესურსებში).
  - ასევე, რადგან ეს არის წინა ოთხი გაკვეთილის შეჯამება, ამ გაკვეთილებზე განხილული თემები უკვე გამოკითხული იქნებოდა.

### აქტივობების თანმიმდევრობა:

მასწავლებელი იზამს...	დრო	მოსწავლე იზამს...
აუხსნის მოსწავლეებს, რომ ისენი შექმნიან თეატრალურ დადგმას წინა 4 გაკვეთილის	5 წუთი	იფიქრებენ მათ წინაშე წარდგენილ მიზანზე და



# Global Schools Program

მიხედვით  ახსენეთ თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმა და რომ თეატრი ერთ-ერთი მათგანია.		გამოხატვის სხვადასხვა საშუალებაზე.
მიეცით მაგალითი/მონახაზი, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს დადგმა.	5 წუთი	ისწავლიან მაგალითებიდან და დასვამენ კითხვებს.
მოაწყეთ ფიქრის სესია იდეებზე, რომლებიც განხორციელდება დადგმაში. შემდეგ მოსწავლეების დახმარებით დააინოვოთ თემა.  თუ ძალიან ბევრი ბავშვი არის კლასში, დაყავით ორ ჯგუფად და ისე ამუშავეთ დადგმაზე.	10 წუთი	იფიქრებენ, როგორი იქნება ეს დადგმა დიდ გუნდში.
გაუნაწილეთ მოსწავლეებს დასაწერად სპექტაკლის სხვადასხვა ნაწილი.  კლასის ზომაზე დაყრდნობით სპექტაკლს არ უნდა ჰქონდეს 5-10 ხაზზე მეტი გათვლილი თითო მოსწავლეზე.  დაყოფა სხვადასხვანაირად შეიძლება, მაგალითად, დაყოფა 4 აქტად და დაჯეროთ დასაწერად სხვადასხვა მოსწავლეს ან, თუ კლასი ძალიან დიდია, სხვადასხვა ჯგუფს.	5 წუთი	მოირგებენ როლებს.
მიეცით მოსწავლეებს დრო თავიანთი სცენარის დასაწერად.	20 წუთი	დანერენ თავიანთ მონაკვეთს.
შეაგროვეთ ნაწილები და სახლში აკინძეთ.	1 წუთი	ჩააბარებენ თავიანთ ნაწილებს.

მასწავლებელი გადახედავს და შეასწორებს დადგმას სახლში, შემდეგ შეხვედრაზე კი წარუდგენს მოსწავლეებს. ათ შეუძლიათ დადგან სპექტაკლი კლასისთვის, სკოლისთვის ან წლის ბოლოს ჩვენებაზე.

- ესურსები მასწავლებლებისთვის :**
- დადგმის მაგალითი: <http://tiny.cc/G4L5R1>
  - რუბრიკა:
    - 1. ადგმა გამოხატავს შემდეგს:
      - მოსწავლის ფასეულობებს



# Global Schools Program

- მდგრადი განვითარების ფასეულობებს
- კავშირს მსოფლოსთან
- 2. არის დადგმა
  - საინტერესო საყურებელი?
  - იოლი გასაგები?
  - სტრუქტურულად მარტივი?